

<p style="text-align: center;">მომსახურების ხელშეკრულება № []</p> <p>ქ. თბილისი [].[].2025 წ.</p> <p>ერთი მხრივ შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ (ს/კ 204976302), შემდგომში წოდებული როგორც “დამკვეთი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის რომან პეტრაშოვის სახით,</p> <p>და [] (ს/კ []), შემდგომში წოდებული „შემსრულებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის [] სახით, წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციისა და შემსრულებლის სატენდერო შეთავაზების პირობებით, მეორე მხრივ</p> <p>ერთობლივად წოდებულნი „მხარეები“, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე და ამავდროულად, მხარეები აღიარებენ, რომ თუ ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლინდება, რომ შემსრულებლის სატენდერო შეთავაზება რაიმე მიზეზით არ შეესაბამება დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის განმსაზღვრელი (პრიორიტეტული) პირობები იქნება დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები:</p> <p>„სატენდერო დოკუმენტაცია“ ნიშნავს დოკუმენტების პაკეტს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ტენდერის ობიექტსა და საგანთან დაკავშირებული ტექნიკური, კომერციული, ორგანიზაციული და სხვა მოთხოვნების შესახებ, ინფორმაციას მისი ჩატარების პირობებისა და პროცედურის შესახებ, ხელშეკრულების პროექტს, კონტრაქტის მოთხოვნებს და სხვა ინფორმაციას, რომელიც კონტრაქტებს ეგზავნება სატენდერო წინადადების მომზადებისთვის, ხოლო „სატენდერო წინადადების“ ქვეშ - კონტრაქტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული დოკუმენტების პაკეტი.</p>	<p style="text-align: center;">Договор оказания услуг № []</p> <p>г. Тбилиси [].[].2025 г.</p> <p>ООО “ЛУКОЙЛ-Джорджия” (и/к 204976302), именуемое в дальнейшем “Заказчик”, представленное в лице Директора Романа Петрашова, с одной стороны,</p> <p>и [] (и/к []), именуемое в дальнейшем “Исполнитель”, представленное в лице Директора [], настоящий договор заключён на условиях тендерной документации Заказчика и тендерного предложения Исполнителя, с другой стороны</p> <p>Совместно именуемые “Стороны”, заключили настоящий договор (далее – Договор) о нижеследующем, и при этом Стороны признают, что если в ходе исполнения Договора будет выявлено, что по каким-либо причинам в тендерном предложении Исполнителя имеются несоответствия требованиям тендерной документации Заказчика, то определяющими (приоритетными) условиями исполнения настоящего Договора являются требования тендерной документации Заказчика:</p> <p>Под «Тендерной документацией» понимается пакет документов, содержащих информацию о технических, коммерческих, организационных и иных требованиях к объекту и предмету тендера, сведения об условиях и порядке его проведения, проект Договора, требования к претенденту и другие требования, которые направляются контрагентам для подготовки тендерного предложения, а под «Тендерным предложением» – пакет документов, подготовленный контрагентом в соответствии с требованиями тендерной документации.</p>
<p style="text-align: center;">1. ხელშეკრულების საგანი</p> <p>1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტის შესაბამისად მომსახურების გაწევა, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს აღნიშნული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.</p> <p>1.2. შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია გასწიოს შემდეგი სახის მომსახურება:</p> <p>1.2.1. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის</p>	<p style="text-align: center;">1. Предмет договора</p> <p>1.1. По настоящему договору Исполнитель обязуется обеспечить выполнение всех услуг в соответствии с пунктом 1.2. данного Договора, а Заказчик обязуется оплатить эти услуги в порядке, предусмотренном настоящим Договором.</p> <p>1.2. На основании данного договора Исполнитель обязуется оказывать следующие услуги:</p> <p>1.2.1. Исполнитель обязан осуществлять строительные</p>

<p>ავტოგასამართ სადგურზე №26 განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები, რომელთა ზუსტი აღწერილობა და დეტალები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.</p> <p>1.3. მომსახურების გაწევა ხორციელდება შემდეგ მისამართთან დაკავშირებით: თბილისი, მინდელის ხიდის მიმდებარედ (ს/კ 01.13.02.001.112).</p> <p>1.4. სამუშაოები უნდა შესრულდეს თანდართული ტექნიკური დავალებისა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ყველა თანდართული დოკუმენტაცია, მათ შორის ტექნიკური დავალება და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.</p> <p>1.5. შემსრულებელმა გადაწყვეტილებები უნდა შეუთანხმოს შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს.</p> <p>1.6. შემსრულებელმა სამუშაო უნდა შესრულოს „ლუკოილი“-ს კორპორატიული მოთხოვნებისა და წესების რეკომენდაციების შესაბამისად. ამასთან, საინფორმაციო ფასმარკენებლები სრულად უნდა შეესაბამებოდეს დამკვეთის აღწერილობასა და მოთხოვნებს, როგორც ხარისხით, ასევე დამკვეთის მიერ მოთხოვნილი საფირმო სტილის ელემენტებით.</p> <p>1.7. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს შემსრულებლის მასალებისა და ძალის გამოყენებით.</p> <p>1.8. დამკვეთის მიერ დეფექტის აღმოჩენის ან არათანადო ხარისხის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია უფასოდ აღმოფხვრას ყველანაირი სახის დეფექტი.</p> <p>1.9. საგარანტიო ვადა შეადგენს 24 თვეს მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.</p> <p>1.10. ზემოთ მითითებული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით და გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს დამკვეთის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღისა, უსასყიდლოდ აღმოფხვრას/გამოასწოროს შესრულებული სამუშაოების მიმართებაში დამკვეთის მიერ აღმოჩენილი ყველა შეუსაბამობა.</p> <p>1.11. შემსრულებლის საგარანტიო ვალდებულებები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება):</p> <p>1.11.1. გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შეკეთებით, ან (საჭიროების შემთხვევაში) ახალი საქონლის ჩანაცვლებით;</p> <p>1.11.2. სამონტაჟო სამუშაოების განმეორებითი შესრულება (შესრულებული სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებული ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში).</p> <p>1.12. დამკვეთის მიერ დეფექტის აღმოჩენის ან არათანადო ხარისხის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია უფასოდ აღმოფხვრას</p>	<p>работы на АЗС №26 Заказчика, точные описания и детали которых указаны в Приложениях данного договора, которые являются неотъемлемой частью настоящего Договора.</p> <p>1.3. Услуга предоставляется по следующему адресу: Тбилиси, прилегающая территория моста Миндели (кад. код 01.13.02.001.112).</p> <p>1.4. Работы должны быть выполнены в соответствии прилагаемого технического задания и тендерных документов. Все прилагаемые документы, в том числе техническое задание и тендерные документации, являются неотъемлемой частью настоящего Договора.</p> <p>1.5. Исполнителем должны быть согласованы свои решения с ООО «ЛУКОЙЛ Джорджия».</p> <p>1.6. Работы должны быть выполнены Исполнителем в соответствии с изложенными в Корпоративных требованиях и правилах, рекомендованных «ЛУКОЙЛ». Кроме того, Ценовые информационные стелы должны полностью соответствовать требованиям и описанием заказчика по качеству и фирменному стилю используемых материалов, согласно тендерной документации;</p> <p>1.7. Все работы должны быть выполнены с использованием материалов и рабочей силы Исполнителя.</p> <p>1.8. В случае выявления Заказчиком недостатков или ненадлежащего качества, Исполнитель обязан устранить любой тип недостатка безвозмездно.</p> <p>1.9. Гарантийный срок составляет 24 месяцев после подписания Сторонами акта приема-передачи.</p> <p>1.10. В течение выше указанного гарантийного срока Исполнитель обязуется за свой счет и в разумный срок, но не позднее 10 рабочих дней с момента получения письменного уведомления Заказчика, устранить безвозмездно выявленные недостатки (дефекты), выявление Заказчиком касательно выполняемых работ.</p> <p>1.11. Гарантийные обязательства Исполнителя включают (но не ограничиваются):</p> <p>1.11.1. устранение выявленных дефектов путем ремонта, или (при необходимости) полной замены;</p> <p>1.11.2. повторное выполнение монтажных работ (в случае выявления недостатков, связанных с качеством выполненных работ).</p> <p>1.12. В случае выявления Заказчиком недостатков или ненадлежащего качества, Исполнитель обязан устранить любой тип недостатка безвозмездно.</p>
--	---

<p>ყველანაირი სახის დეფექტი.</p> <p>1.13. პროდუქციას უნდა გააჩნდეს და შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო პირობებით გათვალისწინებული სერტიფიკატები.</p>	<p>1.13. Товар должен иметь, а Исполнитель должен предъявить сертификаты, предусмотренные условиями тендера.</p>
<p>2. მხარეთა უფლება და ვალდებულებები</p> <p>2.1. შემსრულებელი ვალდებულია:</p> <p>2.1.1. მომსახურება გასწიოს წინამდებარე ხელშეკრულების, ასევე სატენდერო დოკუმენტაციის პირობების შესაბამისად სრულყოფილად და ხარისხიანად;</p> <p>2.1.2. დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს მას უტყუარი ინფორმაცია მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებების შესახებ, დამკვეთის მოთხოვნიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში მას მერე, რაც შემსრულებელი ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიიღებს მოთხოვნას ამის შესახებ;</p> <p>2.1.3. მომსახურების გაწევის შემდეგ გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი გაწეული მომსახურების შესახებ;</p> <p>2.1.4. გაუფრთხილდეს დამკვეთის საწარმოო საშუალებებს;</p> <p>2.1.5. მკაცრად დაიცვას დამკვეთის საიდუმლოება და არ გააცნოს გარეშე პირებს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების დროს;</p> <p>2.1.6. გაუფრთხილდეს დამკვეთის პრესტიჟსა და ავტორიტეტს;</p> <p>2.1.7. საპატიო მიზეზით წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამკვეთს აღნიშნულის თაობაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან განთავისუფლების საპატიო გარემოებების დადგომიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში;</p> <p>2.1.8. დაიცვას შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნის წესები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსრულებელს თავად ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა როგორც დამკვეთის, ასევე მესამე მხარეების და/ან სახელმწიფო ორგანოების წინაშე;</p> <p>2.1.9. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების სრული დაცვითა და მათ შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში მომსახურება არ ჩაითვლება შესრულებულად;</p> <p>2.1.10. სრულად აგოს პასუხი მის მიერ (მათ შორის მისი თანამშრომლის ამ/და კონტრაქტის მიერ)</p>	<p>2. Права и обязанности сторон</p> <p>2.1. Исполнитель обязан:</p> <p>2.1.1. предоставлять услуги в соответствии с условиями данного Договора, также в соответствии с тендерными документами, надлежащим образом и качественно;</p> <p>2.1.2. по требованию Заказчика предоставлять ему полную и достоверную информацию о ходе выполнения Исполнителем настоящего Договора в течение 1 (одного) рабочего дня с момента получения устного или письменного запроса Заказчика;</p> <p>2.1.3. после предоставления услуг оформить акт приема-передачи выполненных услуг;</p> <p>2.1.4. бережно относиться к имуществу Заказчика;</p> <p>2.1.5. строго соблюдать коммерческую тайну Заказчика, не сообщать посторонним лицам, разглашать информацию, которая стала ему известна в ходе выполнения работ/оказания услуг;</p> <p>2.1.6. Обеспечить защиту деловой репутации Заказчика;</p> <p>2.1.7. В случае невозможности выполнения обязательств по настоящему Договору по уважительной причине Исполнитель обязан незамедлительно уведомить об этом Заказчика в течение одного рабочего дня с момента наступления обстоятельств освобождения от обязательств по Данному договору;</p> <p>2.1.8. соблюдать требования безопасности труда и пожарной безопасности, установленные законодательством Грузии. В противном случае Исполнитель сам несет полную материальную ответственность как перед Заказчиком, также перед третьими лицами и/или государственными органами;</p> <p>2.1.9. выполнять услуги, определенные данным Договором в полном соответствии с требованиями данного Договора и тендерных документов. В противном случае услуга не будет считаться выполненной;</p> <p>2.1.10. нести полную ответственность за выполненную</p>

<p>შესრულებული სამუშაოსა და მისი (მათ შორის მისი თანამშრომლის ამ/და კონტრაქტის) ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი ქმედების შედეგად;</p> <p>2.1.11. შემსრულებელი თავად ატარებს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე;</p> <p>2.1.12. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</p> <p>2.2. დამკვეთი ვალდებულია:</p> <p>2.2.1. გადაუხადოს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.</p>	<p>Исполнителем (в том числе его сотрудником и/или контрагентом) работу и за результаты Исполнителя (в том числе его сотрудника и/или контрагента), возникавшие по их вине;</p> <p>2.1.11. в процессе оказания услуг Исполнитель сам несет ответственность за обязательства, взятые Договором;</p> <p>2.1.12. выполнять услуги, определенные данным Договором в соответствии с правилами, установленными законодательством Грузии.</p> <p>2.2. Заказчик обязан:</p> <p>2.2.1. Оплатить Исполнителю стоимость оказанных услуг, стоимость которых определяется данным Договором.</p>
<p>3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი</p> <p>3.1. მომსახურებისა და საქონლის სრული ღირებულება, რომელიც უნდა გადაუხადოს დამკვეთმა შემსრულებელს შეადგენს [] ([]) ლარს დღგ-ს ჩათვლით.</p> <p>3.2. სამუშაოს შესრულების ვადა - 120 კალენდარული დღე წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.</p> <p>3.3. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებულ თანხაში შედის ყველა ხარჯი, მათ შორის და არა მხოლოდ, საქონლის, მომსახურების, მატერიალის, მოწოდების, მონტაჟის, გადამზადების და ა.შ., რაც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან.</p> <p>3.4. ანგარიშსწორება მოხდება შესრულებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 60-ე კალენდარულ დღეს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემსრულებლის ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში, თანხის ჩარიცხვის გზით.</p> <p>3.5. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების არ შესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დამკვეთს უფლება აქვს დააყოვნოს შესრულებული მომსახურების თანხის გადარიცხვა იმ დღეების ოდენობის პროპორციულად, რამდენითაც დაგვიანდება მომსახურების შესრულება დამკვეთისათვის. ასეთ შემთხვევაში დამკვეთს არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა.</p> <p>3.6. მხარეები თანხმდებიან, რომ დამკვეთს შემსრულებლისათვის თანხის გადახდის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ სატენდერო მოთხოვნების ჯეროვნად და სრულად შესრულებული სამუშაოსთვის.</p>	<p>3. Стоимость, порядок оплаты и срок действия</p> <p>3.1. Полная стоимость услуг и товара, которую Заказчик должен оплатить Исполнителю, составляет [] ([]) лари с НДС.</p> <p>3.2. Срок выполнения работ – 120 календарных дней с даты подписания данного договора.</p> <p>3.3. Сумма, указанная в пункте 3.1. данного договора включает в себя все расходы, в том числе и не только, стоимость товара, услуг, материала, монтажа, поставки, обучения и т.д., а также всего, что связано с выполнением обязательств по настоящему Договору.</p> <p>3.4. Оплата осуществляется путём перечисления денежных средств на банковский счет Исполнителя, который указан в данном Договоре на 60 календарный день после подписания Акта приема – передачи выполненных услуг для каждой АЗС и выписки налоговой счет-фактуры.</p> <p>3.5. В случае невыполнения Исполнителем обязанности и/или выполнения ненадлежащим образом, Заказчик имеет право задержать оплату выполненных услуг пропорционально количеству дней, на протяжении которых предоставление услуг была задержана Заказчику, в этом случае Заказчик не несёт никакой ответственности.</p> <p>3.6. Стороны договариваются, что обязанность Заказчика оплатить сумму Исполнителю возникает только в случае надлежащего и полного выполнения работ тендерных требований.</p>
<p>4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი</p> <p>4.1. დამკვეთს უფლება აქვს თავისი წარმომადგენლების დახმარებით განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი,</p>	<p>4. Качество выполненных работ</p> <p>4.1. С помощью своих представителей Заказчик имеет право осуществлять контроль качества выполненных</p>

<p>შეამოწმოს ტექნიკურ პირობებთან და ნორმებთან შესაბამისობა.</p> <p>4.2. შემსრულებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზები აღმოფხვრას რაც შეიძლება მალე სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელების გარეშე. თუ ამ შემთხვევისას აღმოჩნდება, რომ ხარვეზი არ არის აღმოფხვრილი ან აღმოჩენილია ახალი ხარვეზები, დამკვეთი შემსრულებელს უნიშნავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად და უნიშნავს ვადას საბოლოო შემოწმებისთვის ხელშეკრულებაში მითითებული სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელების გარეშე. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ ხარვეზები კვლავ არ არის აღმოფხვრილი, დამკვეთს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებულ სამუშაოზე და შეწყვიტოს ხელშეკრულება ხარვეზით შესრულებული სამუშაოს ნაწილში ნაწილობრივ ან სრულად შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების გარეშე.</p> <p>4.3. დამკვეთი იძლევა გარანტიას, რომ თავად გადამოწმების პროცესი ხელს არ შეუშლის სამუშაო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას და არ გაზრდის მისი შესრულების დროს.</p> <p>4.4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სისრულე, ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს და სტანდარტებს, უსაფრთხოების სტანდარტებს, სპეციფიკაციებს, ტექნიკურ მახასიათებლებს, დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში, ამ ხელშეკრულების დანართებში, სპეციფიკაციებში და დამატებით შეთანხმებებში.</p> <p>4.5. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო აკმაყოფილებს უმაღლეს სტანდარტებს, ტექნოლოგიის უმაღლეს დონეს; სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული იქნება მაღალი ხარისხის მასალები.</p>	<p>работ, проверять соответствие техническим условиям и нормам.</p> <p>4.2. Исполнитель обязан в кратчайший срок без продления срока для выполнения работ устранить обнаруженные дефекты. Если во время этой проверки будет обнаружено, что дефект не устранен или будут обнаружены новые дефекты, то Заказчик назначает Исполнителю последний срок для устранения дефекта и для проведения окончательной проверки без продления срока для выполнения работ, оговоренного в Договоре. Если по истечении этого срока дефекты все еще не будут устранены, Заказчик имеет право отказаться от выполненных работ и расторгнуть Договор в части дефектного выполнения или полностью без возмещения понесенных Исполнителем затрат.</p> <p>4.3. Заказчик гарантирует что процесс проверки не будет препятствовать нормальному ходу процесса выполнения работ и не увеличит сроки его выполнения.</p> <p>4.4. Качество и полноценность, технические характеристики выполненных работ должны соответствовать условиям Договора и стандартам, нормам безопасности, техническим условиям, техническим заданиям, дополнительным требованиям, которые указываются в тендерных документах, приложениях, спецификациях и дополнительных соглашениях к настоящему Договору.</p> <p>4.5. Исполнитель гарантирует, что выполняемые работы соответствуют высшим стандартам, высшему уровню технологий; при выполнении работ будут использованы высококачественные материалы.</p>
<p style="text-align: center;">5. მხარეთა გარანტიები</p> <p>5.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ</p> <p>5.1.1. არის სათანადოდ დაფუძნებული, სათანადოდ რეგისტრირებული და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონიერად მოქმედი იურიდიული პირი;</p> <p>5.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და შესრულება არ ეწინააღმდეგება შემსრულებლის სადამფუძნებლო დოკუმენტებს;</p> <p>5.1.3. იურიდიული პირის/ იურიდიული პირის მართვის ორგანოების შესახებ ყველა ფაქტობრივი ინფორმაცია, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები სანდოა მათი წარდგენის, აგრეთვე ამ ხელშეკრულების დადების თარიღისთვის;</p> <p>5.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღისთვის, შემსრულებელმა არ დამალა რაიმე ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც მოწოდებულ ინფორმაციას/დოკუმენტებს არასანდოს გახდის;</p>	<p style="text-align: center;">5. Гарантии Сторон</p> <p>5.1. Исполнитель гарантирует, что</p> <p>5.1.1. является юридическим лицом, надлежащим образом созданным, зарегистрированным в установленном порядке и законно действующим в соответствии с законодательством Грузии;</p> <p>5.1.2. заключение и исполнение настоящего Договора не противоречит учредительным документам Исполнителя;</p> <p>5.1.3. вся фактическая информация о юридическом лице/органах управления юридического лица, документы, представленные Исполнителем, являются достоверными на дату их представления, а также на дату заключения настоящего Договора;</p> <p>5.1.4. на дату заключения настоящего Договора Исполнителем не было скрыто какой-либо информации/документов, что сделало бы</p>

<p>5.1.5. მის წინააღმდეგ სასამართლოში ან/და სხვა სახელმწიფო ორგანოებში არ დაწყებულია სასამართლო, საარბიტრაჟო ან/და ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ამ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა;</p> <p>5.1.6. ასრულებს და აკმაყოფილებს, ასევე ასრულებდა და აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს;</p> <p>5.1.7. აქვს საჭირო რესურსები ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.</p> <p>5.2. თუ შემსრულებელი დაარღვევს ამ გარანტიებს, დამკვეთს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსრულებელს პირგასამტეხლოს გადახდა, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.</p> <p>5.3. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს პირგასამტეხლო 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში დამკვეთის მიერ შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის გაგზავნიდან.</p> <p>5.4. დამკვეთს უფლება აქვს ცალმხრივად თქვას უარი წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე შემსრულებლისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით, დამკვეთისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე და შემსრულებლის წინაშე რაიმე ზარალის კომპენსაციის გარეშე. დამკვეთს შემსრულებლისთვის გაწეული მომსახურების პროპორციულად ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთხსენებული გარანტიების დარღვევა მისი ბრალეულობის გარეშე და თუ შემსრულებელი დაადასტურებს ამ ფაქტს.</p> <p>5.5. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება შემსრულებლისთვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მიწოდების მომენტიდან, თუ თავად ასეთ შეტყობინებაში სხვა ვადა არ არის მითითებული.</p>	<p>предоставленную информацию/документы недостоверной;</p> <p>5.1.5. в отношении него не возбуждались судебное, арбитражное и/или административное производства в судах и/или иных государственных органах, которые могли бы привести к невозможности надлежащим образом и в соответствии с требованиями законодательства Грузии исполнять свои обязательства по настоящему Договору;</p> <p>5.1.6. исполняет и соблюдает, равно как и исполнял и соблюдал требования законодательства Грузии, в том числе, налогового;</p> <p>5.1.7. имеет необходимые ресурсы для исполнения своих обязательств по настоящему Договору.</p> <p>5.2. В случае нарушения Исполнителем указанных гарантий, Заказчик вправе потребовать от Исполнителя выплатить неустойку, а Исполнитель обязуется выплатить неустойку в размере 0.5 % от стоимости Договора.</p> <p>5.3. Исполнитель обязуется выплатить неустойку в течение 10 (десяти) рабочих дней с момента направления Заказчиком соответствующего письменного требования.</p> <p>5.4. Заказчик имеет право в одностороннем порядке отказаться от исполнения настоящего Договора путем направления Исполнителю соответствующего уведомления без возложения на Заказчика какой-либо ответственности за такой отказ и без возмещения каких-либо убытков Исполнителю. Обязанность по возмещению Заказчиком пропорционально оказанных Исполнителем услуг возникает только в случае если нарушение вышеуказанных гарантий произошло не по его вине и если Исполнитель подтверждает этот факт.</p> <p>5.5. Договор считается расторгнутым с момента доставки соответствующего письменного уведомления Исполнителю, если в самом уведомлении не указан иной срок.</p>
<p>6. მხარეთა პასუხისმგებლობა</p> <p>6.1. მხარეები პასუხისმგებელნი არიან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულებისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</p> <p>6.2. შემსრულებლის მხრიდან, საქონლის მიწოდების ან/და სამუშაოების შესასრულებლად განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გადაუხადოს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში განსაზღვრული ჯამური თანხის 0.05 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.</p>	<p>6. Ответственность сторон</p> <p>6.1. В случае невыполнения или ненадлежащего выполнения обязательств по настоящему Договору Стороны несут ответственность в соответствии с действующим законодательством.</p> <p>6.2. В случае нарушения сроков со стороны Исполнителя для поставки товара и/или выполнения услуг Исполнитель обязан заплатить Заказчику неустойку в размере 0,05 % от общей стоимости суммы, указанной в пункте 3.1. настоящего договора за каждый день просрочки.</p>

<p>6.3. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ აქვს შესაბამისი ცოდნა, ნებართვა თუ სხვა სამართლებრივი თუ ტექნიკური საფუძველი, შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვითა და დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად. შემსრულებელი ადასტურებს, რომ შეკვეთა ეფუძნება შემსრულებლის ექსპერტულ ცოდნას/გამოცდილებას და შესაბამისად, იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების შესრულებისთვის გამოიყენებს შესაბამის მეთოდოლოგიებსა და სტანდარტებს. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებით, მის მიერ შესრულებულ სამუშაოს შედეგად, თუ ზიანი მიაღწევა დამკვეთს ან/და მის ქონებას, შემსრულებელს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა.</p> <p>6.4. შემსრულებელს ეკისრება პასუხისმგებლობა შეთანხმებული სამშენებლო პროექტის შესაბამისად სამუშაოების განხორციელებაზე. შესაბამისად, ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, თუ სამუშაოები არ შეესაბამება დამკვეთის ტექნიკური დავალებისა და სხვა სატენდერო დოკუმენტაციით, ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემსრულებელს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა და ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი სრული ოდენობით, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების მიერ დამკვეთის დაჯარიმების შემთხვევაში, რაც დაკავშირებული იქნება შემსრულებლის მიერ სამუშაოს შესრულების პროცესში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების, მათ შორის შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების უგულვებელყოფასთან.</p> <p>6.5. პირგასამტეხლობის და ჯარიმების გადახდა არ ათავისუფლებს ბრალულ მხარეს დარღვეული ვალდებულების შესრულებისგან. დამკვეთს უფლება აქვს შემსრულებელს გადაუხადოს თანხა პირგასამტეხლოს/ჯარიმის თანხის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p> <p>6.6. დამკვეთს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისთვის რაიმე სახის ნეგატიური შედეგების გარეშე. დამკვეთს შემსრულებლისთვის გაწეული მომსახურების პროპორციულად ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ სატენდერო დოკუმენტაციით/წინამდებარე ხელშეკრულებით/წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრული მოთხოვნების ჯეროვნად შესრულებულ საქონლისთვის/მომსახურებისთვის.</p>	<p>6.3. Исполнитель гарантирует, что у него есть соответствующие знания, разрешения или иные правовые, или технические основания для исполнения обязательств по настоящему Договору с соблюдением стандартов, предусмотренных законодательством Грузии, и в соответствии с требованиями Заказчика. Исполнитель подтверждает, что заказ основан на экспертных знаниях/опыте Исполнителя, и соответственно гарантирует, что он будет использовать соответствующие методологии и стандарты для выполнения услуг. С учетом всего вышеизложенного, в результате выполненных им работ, в случае причинения ущерба Заказчику и/или его имуществу, Исполнитель несет полную материальную ответственность.</p> <p>6.4. Исполнитель несет ответственность за выполнение работ в соответствии с согласованным строительным проектом. Соответственно, в случае любого нарушения, если работы не соответствуют требованиям, установленным техническим заданием Заказчика и другой тендерной документацией, а также действующим законодательством Грузии, Исполнитель несет полную материальную ответственность и обязан возместить ущерб в полном объеме, в том числе в случае наложения на Заказчика штрафа государственными органами, связанного с несоблюдением Исполнителем требований, установленных действующим законодательством Грузии, в том числе в случае несоблюдения требований охраны труда при выполнении работ.</p> <p>6.5. Уплата неустоек и штрафов не освобождает виновную Сторону от исполнения нарушенных обязательств. Заказчик вправе оплатить Исполнителю сумму за вычетом неустойки/штрафа (при их наличии).</p> <p>6.6. Заказчик имеет право в любое время расторгнуть данный Договор без каких-либо негативных последствий для него. Обязанность по возмещению Заказчиком пропорционально оказанных Исполнителем услуг возникает только в отношении товаров/услуг, выполненных надлежащим образом в соответствии с требованиями, указанными в тендерной документации/настоящем договоре/приложениях к настоящему договору. д.)</p>
<p align="center">7. ხელშეკრულების მომლა</p> <p>7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულების სრულ შესრულებამდე.</p>	<p align="center">7. Расторжение Договора</p> <p>7.1. Настоящий Договор вступает в силу с даты его подписания и действует до его полного выполнения.</p>

<p>7.2. ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს როგორც ამ ხელშეკრულებით, ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.</p> <p>7.3. წინამდებარე ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს დამკვეთის ინიციატივით ყველანაირი ნეგატიური სანქციების გარეშე, რის შესახებაც ხელშეკრულების შემწყვეტი მხარე ვალდებულია 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეწყვეტის განზრახვის შესახებ.</p> <p>7.4. თუ დამკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელს არ დაურღვევია ხელშეკრულებით/სატენდერო დოკუმენტაციით ნაკისრი ვალდებულება(ები), დამკვეთი გადაუხდის შემსრულებელს თანხას შესრულებული მომსახურების პროპორციულად. სხვა შემთხვევებში დამკვეთს არ ეკისრება არანაირი თანხის გადახდის ვალდებულება შემსრულებლისათვის.</p>	<p>7.2. Договор может быть изменен или расторгнут в случаях, предусмотренных настоящим Договором, а также действующим законодательством Грузии.</p> <p>7.3. Данный договор может быть расторгнут в любое время по инициативе Заказчика без каких-либо негативных санкций для него, которая расторгает договор обязан в письменной форме уведомит второй стороне о расторжении данного договора за 1 (один) месяц до такого намерения.</p> <p>7.4. Если договор расторгнут Заказчиком в случае если Исполнитель не нарушил обязательство по данному договору, Заказчик оплачивает Исполнителю сумму пропорционально выполненным услуг. В иных случаях Заказчик не обязан выплачивать Исполнителю какую-либо сумму.</p>
<p>8. დავების მოგვარების წესი</p> <p>8.1. ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნა და უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულებას, მხარეები დაარეგულირებენ მოლაპარაკების გზით.</p> <p>8.2. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლო გზით.</p>	<p>8. Порядок урегулирования споров</p> <p>8.1. Все споры и разногласия, возникающие из настоящего Договора и в связи с ним, стороны урегулируют путем переговоров.</p> <p>8.2. Если стороны не могут прийти к согласию, спор решается путем суда в соответствии с действующим законодательством Грузии.</p>
